ქ. თბილისი 11 ნოემბერი 2018წ.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №121

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნათია ზაალიშვილის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ,

და მეორე მხრივ, შპს „აგაპე“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ვლადიმერ სულთანიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), მისამართი: ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. №32,

1. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

შემსყიდველმა საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურისთვის შემუშავებული ტრენინგების კონცეფციის შესაბამისად დაგეგმილი საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა საინფორმაციო-სასწავლო პროგრამის განხორციელების მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მომართვიდან (**SMP180002218**) გამომდინარე სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის განკარგულება **№2569**) დებენ ხელშეკრულებას სხვადასხვა მასალის ბეჭდვისა და მასთან დაკავშირებული მომსახურებების შესყიდვის თაობაზე (ინვოისების შესაბამისად) - **კლასიფიკატორის (CPV) კოდით - 79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება** და შედეგად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **7913,10 (შვიდი ათას ცხრაას ცამეტი ლარი და ათი თეთრი)** ლარად, შესყიდვის საერთო ღირებულება **(დღგ-ის ჩათვლით).**

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

2.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

2.2.1 საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

2.2.2 მიწოდებული საქონლის ან/და მისი ნაწილის ხარისხის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულების მოთხოვნებთან.

2.2.3 მიმწოდებლის თანდასწრებით მოწოდებული საქონლის შემოწმება და თუ აღმოჩნდება, რომ აღნიშნული საქონელი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს ან გააჩნია ნივთობრივი ნაკლი, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს აღნიშნული საქონელი და მოითხოვოს მისი შეცვლა ინვოისების შესაბამისი საქონლით. ინვოისებთან შეუსაბამო ან ნივთობრივი ნაკლის მქონე საქონელი უნდა შეიცვალოს შემსყიდველის შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი), ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს პროდუქციის ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული პროდუქციის ღირებულება. საქონლის შეცვლასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

2.2.4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ

ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარებისა და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3. პროდუქციის მახასიათებლები

პროდუქციის მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ინვოისების შესაბამისად გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

4. პროდუქციის მიწოდების პირობები

4.1. დასაბეჭდი მასალის მიწოდება უნდა განხორციელდეს არაუგვიანეს 2018 წლის 13 ნოემბრისა.
4.2. პროდუქციის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის შენობის მე-5 სართულზე განლაგებული სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.
4.3. მიწოდებული პროდუქცია უნდა იყოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული პროდუქციის შესაბამისად.
5.2. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული პროდუქცია შეესაბამება ხელშეკრულების მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული პროდუქციის მიღებას.
5.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის ადმინისტრაციული განყოფილების შესყიდვების სპეციალისტი ზვიადი ჭელიძე.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.
6.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მისი გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
7.1.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
7.1.3. შემსყიდველის შეტყობინებისთანავე დაუყოვნებლივ (როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი) უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა;
7.1.4. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
7.1.5. დროულად განიხილოს „შემსყიდველის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული ანაზღაურება;
7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
7.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს მიწოდებული პროდუქციის ღირებულების დროული ანაზღაურება.
8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
8.2.1. აწარმოოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის კონტროლი;
8.2.2. განაცხადოს უარი უხარისხო პროდუქციის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობისა და ხარისხის პროდუქციის მიწოდება, მიმწოდებელს დაეკისრება პირსაგამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0,3%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველს მიმწოდებლის სასარგებლოდ დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.4 ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ შესულების შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 20%-ის ოდენობით ვალდებულების სრულად შეუსრულებლობისათვის, ხოლო ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების 10%-ის ოდენობით.

10.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2018 წლის 11 ნოემბრიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 დეკემბრამდე.

16. განსაკუთრებული პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

16.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ხოლო მეორე ეგზემპლარი -„შემსყიდველთან".

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი	შპს აგაპე
მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ	ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ. №32
მომსახურე ბანკი:	მომსახურე ბანკი:
სახელმწიფო ხაზინა	სს „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ №GE24NB0330100200165022	ბანკის კოდი: BAGAGE22 ა/ა GE44BG0000000911897600
ს/კ 205296188	ს/კ 404489674
ნათია ზაალიშვილი	ვლადიმერ სულთანიშვილი
დირექტორი	დირექტორი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

11 ნოემბერი 2018 წ.

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად 2018 წლის 11 ნოემბრის №121 ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი ნათია ზაალიშვილი

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი ზვიადი ჭელიძე